№ 494. შაბათი, 28 მარტი. 1896-1898 შაბათი, 28 მარტი, **№ 494.**

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიბრძანდებიან რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, ФреилинHская №13
Телефонъ № 363.

САТАВАД-АЗНАУРО ТЕАТРШИ

სათავად-აზნაურო თეატრში
6 აპრილიდან
განთქმული იტალიელი არტისტი
გუსტავო სალვინი
(5—1)

„ცნობის ფურცლის“
რედაქცია
ამ თვის დამლევს
გადადის სათავ.-აზნ. ქარვასლაში

იაზონიის საუცხოვო ნაწარმოები და აბრეშუმეულობა
იაზონიური საუცხოვო სამკაულები
„აღმოსავლეთის მაღაზია“
იოსებ მერკვილაძისა
ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.
ხელ-ახლად მივიღეთ საუცხოვო: იმერული, მეგრული, დიგორული და ლეკური შალები, საქაბეებათ და საჩოხეებათ.
აქვეა ნაბდები ქალისა და კაცისა, ჩაბალახები, ქამარ-ხანჯალი, მრავალი სხვა-და-სხვა დანები, თუშური ნაბდის ქუდები და სხვა სამკაული.
მაღაზიას აქვს სამაგალითო
ქართული (იმერული) ტანისამოსის სამკერვალო
ფასი ყოველიფერზე ზომიერი და დაკლებულია. (20—8)
იაზონიური საუცხოვო სამკაულები
იაზონიის საუცხოვო ნაწარმოები და აბრეშუმეულობა

იაფობა ლორთქიფანიძეს გაზრობა
სავაჭრო და მაღაზიი
თამამშევის ქარვასლაში № 3 და 4, შტაბის მხრივ, სასტ. «კავკაზ»-ის პირდაპირ.
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ დღეიდან ჩემს სავაჭროში დავნიშნე
იაფობა-ვაჭრობა
იყიდება ყოველგვარი საფართლო, საფარჩეულო და საქონელი ● აბრეშუმეული, შალეული ● ტილოეული, ბამბეული და სხ.
= ფასები ყველაფერზე ძლიერ დაკლებულია =
ფასები ჩვეულებრივსა და ქარხნების ფასებზე 20 და 30 პროცენ. ნაკლებაა!!
ვთხოვთ ყველას მობრძანდნენ და თვითონ დარწმუნდნენ ჩვენის საქონლის იაფობაში, თამამშევის ქარვ. № 3 და 4, შტაბის პირდაპირ.

Магазинъ Лордкипанидзе
Караванъ-сарай Тамамшева, № 3 и 4, противъ Гл. штаба
НАЗНАЧЕНА БОЛЬШАЯ РАСПРОДАЖА
уступка отъ 20 до 30°/₀°/₀ съ фабричныхъ цѣнъ
(30—24) პატივისცემით ლორთქიფანიძე.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხერატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალაქო გიმნ. მოწაფეებიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

ПАНСІОНЪ И УЧИЛИЩЕ
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачіемъ для учениц гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—127)

ქუდების და შლაპების
სახელოსნო და მაღაზიი
დ. გვახარიასი
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, მუხრან-ბატონის სახლი
დიდძალი საქონელი სააღდგომოდ ქუდები და შლიაპები ვაჟებისა, ქალებისა და ყმაწვილებისა იაფობა!
გადაკეთება ძველებისა ახლებზე და ნახმარის შეკეთება
ШЛЯПНАЯ МАСТЕРСКАЯ
Д. Гвахарія
къ ПАСХѢ БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ **ДЕШЕВИЗНА**
(13 – 9) шляпъ женскихъ, мужскикъ и дѣтскихъ.
Тифлисъ, Лорисъ-Меликовская ул. д. кн. Багратіонъ-Мухранскаго.

= მგზავრთა საყურადღებოდ =
მარტის 5-დან გაიღება
ახლად გაწყობილი
სლავიანის სასტუმრო
შუაბაზრის მახლობლად, ორბელიანის უბნის ბოლოს, სადაც წინად «მუსიკალური საზოგადოება» იყო.
მშვენივრად გაწყობილი და მორთული ოთახები
მაღალი, მშრალი, სინათლიანი და მყუდრო.
ფასი: დღიურად 50 კ. 5 მანათამდე
თვიურად 10 მ. 50 მანათამდე
СЛАВЯНСКАЯ ГОСТИНИЦА
домъ Армянской семинаріи, на Салд. базарѣ.
Чистота и дешевизна.
პატივის-ცემით დიმიტრი ხუნდაძე
(30—14)

ბულის ნერგები
იყიდება დ. ხონში
ა. ა. საფაროვის და მ. პ. სანაძის აბრეშუმის ფაბრიკაში. (5—1)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 მარტი.

ლონდონი. («Times») ჩინეთი დათანხმდა საფრანგეთის მოთხოვნილებებზედ.

პეკინი. რუსეთის მინდობილი პირი დღესასწაულობით გაემართა იმპერატორის სასახლისკენ, სადაც იმპერატორს გამოუცხადებს მადლობას პორტ-არტურის და ტალიენვანის რუსეთის სასარგებლოდ გადაცემისთვის.

ვაშინგტონი. კონგრესის წევრებმა მიიღეს დეპეშები სხვა და სხვა საზოგადოებათა ბანკირებიდან, რომელნიც თხოულობენ, რომ აღმოჩინოს შემწეობა მშვიდობიანობის ბრძნულ პოლიტიკას. ამ გვარივე დეპეშები მაკ-კინლეიმაც მიიღო. ელჩები შეიკრიბნენ ზავის ჩამოგდების პროექტის შესადგენათ იმ პირობით, რომ პროექტი მიღებულ უნდა იქმნას როგორც ინსურგენტებისაგან, აგრეთვე ისპანიისაგან. ყოველი ძალა მშვიდობიანობის ჩამოგდებისკენ არის მიმართული. როგორც ამბობენ, ეპისტოლე გადადებულ იქნება.

სტოკჰოლმი. შვეცია-ნორვეგიის კონსული დეპეშით იტყობინება სანფრანცისკოდამ, რომ ვიღაც ჯეკ კერრი, ალიასკიდამ მოსული, არწმუნებს, ვითომ მას თანა აქვს წერილი პროფ. ანდრესაგან, მაგრამ არავითარ ახსნას და ცნობებს არ ამხელს. დანიშნული იქნება გამოძიება.

ვაშინგტონი. მაკ-კინლეიმ გადაწყვიტა კონგრესს არ წარუდგინოს ეპისტოლე ორშაბათამდე. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის და იტალიის ელჩებმა შეადგინეს ერთმანეთთან მორიგებით ნოტა, რომლითაც წინადადებას აძლევენ, რომ ზავის ჩამოსაგდებად შუამდგომლობას გავწევთო.

სტოკჰოლმი. დოქტორი ეკჰოლმი, ანდრეს წინანდელი თანამგზავრი ამტკიცებს, რომ უკანასკნელი ცნობა ანდრეს წერილის შესახებ, სინამდვილეს უნდა იყოს მოკლებულიო.

* * *

ახალი ამბავი

*** **თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის დრო.** ჩვენ ყოველ დღე გვეკითხებიან პროვინციიდან, როდისთვის გადაიდვა თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილეი, რომელიც უნდა ყოფილიყო აღდგომის მეოთხე დღესო.

ამით ყველას ვაუწყებთ, რომ საიუბილეიო დღესასწაული მოხდება ქ. ტფილისში და სხვა-და-სხვა ადგილებში 24 მაისს, კვირა დღეს წმ. სამებობას და ამ დღისათვის ემზადება კიდეც წრე იუბილიარის პატივისმცემელთა.

⁂ **არქიმანდრიტის ლეონიდის კურთხევა ეპისკოპოსად.** ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის წევრი და იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს წინამძღოლი არქიმანდრიტი ლეონიდე მალე ნაკურთხ იქმნება ეპისკოპოსად. დაწვრილებითი ცნობებს ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ.

⁂ **წლიური აქტი ტფილისის I-ლ გიმნაზიაში.** 25 მარტს მოხდა წლიური აქტი ტფილისის I-ლ გიმნაზიაში. აქტზე დაესწრნენ: მთავარ-მართებლის თანაშემწე გ.-ლ. ა. ა. ფრეზე, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტ. ს. კ. პ. იანოვსკი, უმაღლესი სასახლის კამერგერი თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და მრავალი საზოგადოება.

გიმნაზიის დირექტორის-მიერ წაკითხულ ანგარიშიდან გამოირკვა, რომ $189^6/_7$ სამოსწ. წლის გიმნაზიაში ყოფილა სულ 792 მოწაფე, აქედან რუსი 42%, სომეხი 26%, ქართველი 17%, თათარი 5%, ებრაელი 3%, ნემეცი, ფრანგი და სხვა ეროვნ. 7%. წოდებათა მიხედვით მოწაფენი განაწილდებიან ასე: თავად-აზნაურთა შვილები 553, სასულიერო წოდებისა 16, საპატიო მოქალაქეთა და პირველ გილდიის ვაჭრებისა 25, ქალაქის სხვა წოდებათა 181, გლეხთა 5, წვრილ მოხელეთა 7. უცხოელთა შვილი გიმნაზიაში სამია.

⁂ **თანამდებობის თავის დანებება.** ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ლ. ს. სტალინსკი, როგორც ამბობენ, თავს ანებებს ამ თანამდებობას.

⁂ **დასამარხი კასა.** ერთ მოსამსახურე პირს, როგორც ისმის, დაუწყვია ტფილისში დასამარხი კასის დაარსების პროექტის შემუშავება; ამ კასის მონაწილედ შეუძლია გახდეს ყველას, ვინც კი სახელმწიფო სამსახურში იმყოფება.

⁂ **ვაქსის ქარხანა.** როგორც სწერენ, ვაჭარი ალასი ტერ-ასატუროვი აარსებს ტფილისში მიხეილის ქუჩაზე ვაქსის ქარხანას.

⁂ **მისი იმპერატორებითი უმაღლესობა** დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე უკვე დაბრუნდა ტფილისს საზღვარ-გარეთიდან.

⁂ **მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი** ი. ი. სადრიგაილო მოვიდა პეტერბურგიდან ტფილისს.

⁂ **შადინოვების ქარვასლის საქმე.** ამ რამდენიმე წლის წინად ტფილისის საკრედიტო საზოგადოებამ საჯარო ვაჭრობით მიჰყიდა შადინოვების ქარვასლა, რომელიც იმყოფება ავლაბრის ხიდთან, ვაჭარს მილოვს, ვადიან გადასახადის შეუტანლობის გამო. ამ ქარვასლის პატრონმა, განსვენებულმა შადინოვმა, მაშინვე აღძრა სასამართლოში საჩივარი ამ ვაჭრობის გაუქმების შესახებ; იგი ამტკიცებდა, ეს ვაჭრობა არ მომხდარა, და საზოგადოდ ჩემი ქონება საჯარო ვაჭრობის წარმოების წესების დაუცველად გაჰყიდესო. ეს საჩივარი არ შეიწყნარა ტფილისის სამოსამართლო პალატამ და საქმე გადატანილ იქმნა სენატში, სადაც ამ დღეებში იგი განხილულ იქმნა; სენატმა, როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, გააუქმა პალატის განაჩენი და გადასცა საქმე ხელ-ახლივ განსახილველად ტფილისისავე სამოსამართლო პალატის სხვა განყოფილებას. („ტ. ფ.“)

⁂ **ქ. გორის დაცვა წყალდიდობისაგან.** გორის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის გუბერნატორთან გორის წყალდიდობისაგან დაცვის შესახებ. თავის შუამდგომლობაში ქალაქი განმარტავს, რომ როგორც კი რკინის გზის მმართველობა ქვითკირით გაამაგრებს წყალს სადგურის შენობებისა და რკინის გზის წყლისაგან დასაცველად, მთელი მტკვარი ქალაქს მოაწყდება და ხიდი წყალს ველარ გაუძლებსო.

⁂ **ნაყოფების გამოფენა.** დღეს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში გამართულია ნაყოფების გამოფენა. შესვლის ფასი პირველ დღეს და დღესასწაულებზე 50 კაპ. დანარჩენ დღეებში 25 კ. დანიშნული ტფილისის საბაღოსნო სკოლის სასარგებლოდ.

⁂ **ეკლესიის კურთხევა.** 26 მარტს ყოვლად უსამღვდელოესმა ალექსანდრემ, გორის ეპისკოპოსმა, და უმაღლესმა სამღვდელოებამ აკურთხეს საშინაო ეკლესია ადგილობრივ რეალურ სასწავლებელში.

⁂ **მტკვრის მოდიდება.** 25 მარტიდან მტკვარმა დილიდანვე იწყო მოდიდება, მთებში თოვლის დნობისა და წვიმების გამო. საღამო ხანს წყალმა კიდევ აიწია ორ ფუტზე, ამასთანავე წყალს თან მოჰქონდა აყარებული ჩირგვები, ძირკვები, და ხეები, რომლებსაც მტკვრის პირის მცხოვრებნი ნაპირზე ეზიდებოდნენ კაკვებით. ღამე რიყელებმა დიდ შიშში გაატარეს, ვაი თუ წყალი კიდევ უფრო მოდიდდესო. პოლიციამ წყლის მოდიდების თვალ-ყურის სადევნად და გასაფრთხილებლად პოლიციელები დააყენა მტკვარზე. მისაშველებელი ნავები, თოკები, სანათურები და სხ. ქალაქის გამგეობამ პოლიციას გადასცა. 26 მარტის წინადღით წყალს კიდევ აეწია 2 ფუტზე, შესულიყო დესიმონის მოედანზე, და დაეფარა ერთი მისი ნაწილი.

⁂ **სააღდგომო ნაწარმოების მავნებელი საღებავები.** ტფილისში პასქებს, კვერცხებს და სხვა სააღდგომო ნაწარმოებს ბევრგან მავნებელ საღებავებით ჰღებენ. ბევრი ამ საღებავთაგანი, მაგალითად, ყვითელი „კრონი“, შეიცავს ნამდვილ საწამლავს და შხამს, რომელიც, სასურველია, მეტად მავნებელია ტან-მთელობისათვის. ასეთ შხამიან საღებავებს განსაკუთრებით ბევრს ჰყიდიან დახურულ ბაზარში. ყოველივე ამის გამო ქალაქის ქიმიური განყოფილების მმართველი სთხოვს ქალაქის გამგეობას ნება დართოს გაჰყიდონ მხოლოდ მცენარეული საღებავები, ხოლო მადნეული საღებავების გაყიდვა აკრძალულ იქმნას.

⁂ **ბათომი. ქართული ეკლესიის გამო.** დიდი ხანია, გადაწყვეტილია, რომ აშენდეს ბათომში ქართული ეკლესია, სადაც განსაკუთრებით ქართულ ენაზედ უნდა იყოს წირვა-ლოცვა. ამ საქმეზე უკვე არჩეულ იქმნა კომიტეტები, რომელთაც იკისრეს მისი განხორციელება, აკურთხეს მიწა ეკლესიისათვის და საძირკველიც ჩაყარეს. თუ არ ვცდები, 1895 წელში, ნოემბრის თვეში, ფულიც მოაგროვეს ბ-ნ კომიტეტის წევრებმა 3000 მანეთამდის და ვინაიდგან ფულებს ნაწილ-ნაწილად აგროვებდნენ, ამის გამო მეც მხოლოდ ერთი თუმანი გადავეცი. კარგა ხანი გავიდა მის შემდეგ და ეკლესიის ასაშენებლად ერთი ურემი ქვა არ მოუტანიათ, არცა რა სხვა მასალები; ამ ნაირათ მიძინებულია ეს საქმე. თუ იმას ბრძანებენ კომიტეტის წევრები, რომ გეგმის თანახმად ფული არ არის მოგროვილიო, ჩემის აზრით, ამით თავის გამართლება შეუძლებელია, რადგან ფულის გამოღებას, ვისაც რამე მოხერხება აქვს, არავინ არ დააშურებს ეკლესიის ასაგებად. მაგრამ ჯერ რა დაინახა საზოგადოებამ გაკეთებული იმ ფულებით, რომელიც უკვე მოგროვდა? რა უპირდათ მო-

სამეცნიერო ცნობა

დაკვრა და საკრავი იარაღები.

ჩვენ დავინახეთ, რომ სიმღერა წარმოსდგა ყვირილიდან; რაც შეეხება დაკვრას, ე. ი. საკრავ მუსიკას, იგი გაჩნდა ხმაურობიდან.

ადამიანს სიამოვნებას ჰგვრიდა ზოგიერთი ხმა ხმაურობის გაგონებაზე და ისიც ცდილობდა ხელ-მეორედ გაეგონა ასეთი სასიამოვნო ხმა. ამის გულისათვის იგი ეძებდა ისეთ იარაღს, რომლიდანაც ხელოვნურად შესძლებოდა სასიამოვნო ხმის გამოცემა. მაგრამ პირველ-ყოფილი კაცი ასეთი იარაღის გამოგონებით ბევრათ აღარ სჯობდა მაიმუნს, როგორც ჩიმპანზე (ერთგვარი მაიმუნია) მართავდა კონცერტს ფუღუროიან ხეებზე ჯოხების ცემით, ისე პირველ-ყოფილმა ადამიანმა გამოიგონა დოლი (დარაბანდი), რომლებზედაც აგრეთვე ჯოხების ცემა იყო საჭირო, მაგრამ დოლიც თავდაპირველად მეტად მოუწყობელი და უხერხული რამ იყო. მაგ. ზოგიერთ ავსტრალიელ ტომში ქალები დოლად ხმარობდნენ კენგურის ტყავს, რომელსაც ფერდებზე გადაიჭიმავდნენ და ისე სცემდნენ ჯოხებს.

ნამდვილ დოლს-კი თავდაპირველად შეადგენდა ფუღუროიანი ხე, რომელსაც ერთ მხარეზე პირი ჰქონდა გაღებული; ან კიდევ—ერთგვარი დიდი ლერწმის მგზავსი ხე, რომელიც ჩვენებურ ბათმანს ჰგავდა: ერთი პირი ღია ჰქონდა, მეორე ბოლო კი გატიხრული; ამ „ბათმანს“ ღია პირით დადგამდნენ მიწაზე, ხოლო ზევიდან, გატიხრულ ბოლოზე, ჯოხებსა სცემდნენ. კიდევ ცოტაოდენი გამოგონებაც და ეს უხერხული დოლი გადიქცა ორსავე ბოლოზე ტყავ-გადაკრულ დოლად; ასეთი დოლი გავრცელებულია თითქმის მთელ დედა-მიწის ზურგზე და ველურებში მას ეძახიან «ტამ-ტამს». ასეთივეა ჩვენებური დოლიც. „ტამ-ტამს“ შეხვდებით გოტენტოტებშიაც, ტაიტელებშიაც, აფრიკელ შავკანიანებშიაც, ახალ გვინეის მცხოვრებშიაც და სხ. შემდეგში დოლიდან წარმოსდგა მრავალი მისგვარი სარახუნო საკრავი, მაგალითად, დაირა და სხ.

სარახუნო საკრავების შემდეგ ადამიანმა გამოიგონა ჩასაბერი საკრავები: საყვირი, სასტვენი, სალამური, ჭიანური, ზურნა და სხ. ეს საკრავები თავდაპირველად სულ უბრალოთ იყო მოწყობილი და გამოსცემდნენ ერთს ან ორ, ან სამსა და ოთხ ჰანგს. მაგალ.: ბუშმენები აკეთებენ ერთგვარ პატარა ცხოველის ძვლიდან საყვირს, რომლიდანაც შეუძლიათ მხოლოდ ერთი ხმის გამოცემა. მაგრამ პოლინეზიაში ჩვენ უკვე ვხედავთ რამოდენიმეთ უფრო გაუმჯობესებულ ჩასაბერ საკრავს, ერთგვარ სალამურს, რომელსაც აქვს ორი, ოთხი და თითქმის ექვსი ნახვრეტი. ამ სალამურს ჩაჰბერენ ხოლმე ცხვირის ცალი ნესტოთი და ააპიპინებენ რამდენსამე ხმაზე. ზოგან გამოუგონიათ აგრეთვე სალამურის მგზავსი საკრავი, რომელიც შესდგება რვა—ცხრა ერთად შეკრულ ლერწმის ღეროდან.

ამ უკანასკნელის საკრავების დაკვრა უკვე შეიძლება სხვა-და სხვა ჰანგზედ და სასიამოვნო მწყობრ ხმაზე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ საკრავებს ჰანგებისა სხვა და სხვაობით და ტკბილ-ხმოვანობით ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ და მათი დაკვრის დროს ხშირად მოგვესმის ერთი და იგივე ჰანგი.

მაგრამ აი ადამიანმა გამოიგონა სიმებიანი საკრავებიც, რომლებსაც მან გამოაცემინა ბევრათ უფრო მრავალ-გვარი ხმები და ჰანგები; ამ გამოგონების შემწეობით მუსიკამ ბევრათ უფრო გაიშალა ფრთები და შესდგა ფეხი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე. უმაღლესათ განვითარებულ ხალხებს თითქმის სულაც არ გააჩნიათ სიმებიანი საკრავი. საფიქრებელია, რომ სიმებიანი საკრავი პირველათ აზიაში დაიბადა, სახელდობრ იმ ხალხებში, რომლებმაც მიაღწიეს სხვებზე უფრო მაღალ განვითარებას. აზიიდან ეს ხელოვნური საკრავები ნელ-ნელა გადვიდა ჯერ ეგვიპტეში, სადაც ამის შემდეგ გაჩნდა ჩანგი და ჩანგური, შემდეგ-კი ევროპაში. ეგვიპტიდან და ნუბიიდან სიმებიან საკრავების მომზადების ხელოვნება გაავრცელეს მთელ აფრიკის ხმელეთზე, მაგრამ სხვა და სხვა ადგილას მეტ-ნაკლებობით. მაგალითად, აქ მანდიგოს ტომი უკრავს არფას, რომელსაც აქვს თექვსმეტიოდე სიმი; ზემო ნილოსის ხეობის მცხოვრებთ კი რომელთაც ძალიან უყვართ მუსიკა, აქვთ მხოლოდ ერთ სიმიანი არფა, რომელიც ცნობილია მთელ სამხრეთ აფრიკაში; გოტენტოტები ხმარობენ სამ სიმიან ჩანგურს, და სხ. საზოგადოთ აფრიკაში, რაც უფრო სამხრეთს უახლოვდები, მით უფრო უბრალო საკრავებს ჰხედავ. შუა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში არსებობს ერთგვარი ნამდვილი საკრავი მუსიკა; აქ თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ჩინებული მელოდიები (სასიამოვნო და მწყობარი ხმები), მაშინ როდესაც სულ განაპირა სამხრეთში მუსიკისაგან უბრალო ხმაურობასაც კმარობენ.

სამუსიკო ნიჭი ყველაზე უფრო ნაკლებათ ეტყობა მონგოლთა გვარტომს. ნამდვილი მონგოლები მეტათ მოკლებულნი არიან სამუსიკო გემოვნებას) მაგალითად, ჩინელები ხშირად უბრალო ხმაურობას ამჯობინებენ მუსიკას. პირ იქით, იმ მონგოლთ მოდგმის ხალხებს, რომელთაც შავკანიან აზიელთა სისხლის შერევით, დიდათ უყვართ მუსიკა.

—

სამუსიკო გემოვნება საზოგადოთ. ზემო ნათქვამიდან ჩანს, რომ ადამიანი ეტანება სიმღერა მუსიკას თითქმის მთელ დედამიწის ზურგზე, რადა თქმა უნდა სიმღერა მუსიკა მით უფრო რთული და ხელოვნურია, რაც უფრო გვარ-ტომი განვითარებულია. რაკი არსებობს განვითარება იგი თვის დაღს აჩნევს და ასულდგმულებს ყველაფერს, და, მაშასადამე, სიმღერა მუსიკასაც; მაგრამ სიმღერა მუსიკის სიყვარულის სიძლიერის მიხედვით ვერ გავზომავთ ხალხის გონებრივ განვითარებას. საქმე იმაშია, რომ ვანუვითარებელ ხალხებზე, მათი უხეირო და პირველ ყოფილი, სიმღერა მუსიკა ბევრად უფრო ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ევროპიელებთ მათი ევროპიული სიმღერა-მუსიკა. როგორც-კი, მაგალითად, ტაიტელები ყურს მოჰკრავენ რომელიმე თავიანთი სიმღერის ხმებს, მთელი მათი ტანი ზომიერ მოძრაობაში მიდის და პირის ხე მეტის-მეტი სიამოვნებით უბრწყინდებათ. როცა ესკიმოსის ქალები გაიგონებდნენ საკრავის ან სიმღერის ხმებს, სულ განაბვით წაიგრძელებდნენ კისერს და ყურებზე. ამ ხალხებზე, ძალიან ნაკლებათ გრძნობენ მუსიკისაგან სიამოვნებას.

განათლებულ თეთრ-კანიან ერებში, იქ, სადაც მუსიკა, ისე როგორც ყოველივე სხვა, ძალიან განვითარებულია, იგი იწვევს ღრმა და გულწრფელ გრძნობას, განსაკუთრებით მდაბიო ხალხში, ქალებში და იმ ზოგიერთ მამაკაცებში, რომელთაც მგრძნობიარე და ქალური ბუნება აქვთ, ხოლო მდიდარი ხალხისათვის მუსიკის სიყვარული უბრალო მოდათ გადაქცეულა; მუსიკით გატაცება ამათში უფრო ხელოვნური და ძალდატანებითია, ვიდრე ნამდვილი და ბუნებრივი. გაუმაძღარი ნიამ-ნიამელი, როცა, თმებს მოიშორებდნენ, რომ ერთი ჰანგიც არ გამოპარვოდათ. ნიამ-ნიამელები, რომლებიც განთქმულნი არიან მეტის-მეტი ღორმუცელობით ივიწყებენ ჭამა-სმას როგორც-კი მუსიკას დაუკრავენ, და მათ შეუძლიათ უკრან განუწყვეტლივ. გაიგონა თუ არა ერთმა შუა-აფრიკის შეიხმა „მწყემსის სიმღერა“, რომელსაც საკრავი ყუთი უკრავდა პირი-სახეზე ხელები მიიფარა და ისმენდა ამ სიმღერას სულგანაბული და ღრმად მოხიბლული. პირ-იქით. ჩინელები, რომლებიც ბევრათ უფრო მაღლა დგანან იმღერის ან უკრავს რასმე, სრულიად ივიწყებს ჭამა-სმას, მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი ბურჟუა (მდიდარი მოქალაქე), რომელსაც ასე უზომოთ იტაცებდეს სიმღერა-მუსიკა.

სვ.—ლი

ტანინებინათ ქვა, კირი, ქვიშა და ნ სხვა მასალები, რომ დაენახა საზოგადოებას, მომავალში ჩვენ ჩვენი ვედრი ფულები სიამოვნებით შეგვეტანა.

თეიმურაზ თოფურია

⁂ **ს. ბერძენაული** (ქართლი). **მკვლელობა.** 24 მარტს, გორის მაზრის სოფელ ბერძენაულში მოხდა კაცის მკვლელობა. ამ სოფელში ცხოვრობენ სახაზინო გლეხები მარტო და ეს მკვლელობა მოხდა ორ გლეხთა შორის, რომელნიც იყვნენ ერთმანერთის მომიჯნავენი და რადგანაც ერთს ამათგანს გიორგი დაბრუნდაშვილს უშლიდა ლობის ლობის გახლეჯას და შელობას ესტატე მარგველაშვილისაგან დარგული ნერგები, რომელიც იყო გაყოლებული რუს პირათ ძალიან ახლოს მის ლობესთან; ამ დაბრუნდაშვილს თავის ნებით დაევლიჯა ეს ნერგები და, როდესაც პატრონმა მარგველაშვილმა გაიგო ეს ამბავი, მივიდა თავის მამულზედ დაგლეჯილი ნერგების დასათვალიერებლად და თან წაიყვანა მამასახლისის თანაშემწე, რომელსაც წინათვე შეხჩივლა იმან, რომ თავის თვალით დაათვალიეროს და თუ ის ტყუის რასმე დაბრუნდაშვილთან, ნუღარაფერს კანონიერ შემწეობას ნუ მისცემდა. მოვიდნენ თუ არა ხსენებულს ადგილს, იქ დახვდნენ გიორგი დაბრუნდაშვილი თავის მოხუც მამით და მისვლის უმალ, რადგანაც, თურმე, ცოტა ჯავრიც სჭირდა, გიორგი დაბრუნდაშვილს მარგველაშვილისთვის ლანძღვა დაეწყო, რომ ნერგები ისე ჩაეყარა ამას ვითომ, რომ დაბრუნდაშვილს უშლიდა შელობვას. მარგველაშვილს პირველ შემთხვევაში პასუხი არ მიეცა, მაგრამ, როცა დაბრუნდაშვილმა უხსენო ცილი უშვერის სიტყვებით, მაშინ-კი იმასაც პასუხი შეებრუნებინა და ამის შემდეგ დაბრუნდაშვილს დაეკრა კეტი თავში მარგველაშვილისათვის, რომელმაც მეორე დღესვე განუტევა სული. მობრძანდა სურამის ბოქაული 26 მარტს და რა გამოიძია საქმე, დამნაშავე მაშინვე შეიპყრო.

⁂ **ქ. ბაქო. სამკითხველოს უქონლობა.** თითქმის ყველა დაბებიდან და ქალაქებიდან გვესმის—ეს სამკითხველო, ეს საკვირაო სკოლა და სხვ. დავაარსეთო. ჩვენ-კი, ბაქოს ქართველი საზოგადოება, ტკბილს ძილს მივცემივართ და აღარ ვფიქრობთ გამოღვიძებას. აქ, როგორც დიდსა და საღებ-მიცემო ქალაქში, მრავლად ვართ ქართველები, რიცხვით სამი ათასამდე ვიქნებით. აქაური უბრალო ქართველი მუშა თვეში აიღებს ხუთ-ექვს თუმნამდე და ამასთან რამდენიმე ქართველი მილიონერიც გახლავსთ. მაგრამ მათი მილიონები ჩვენ არაფრად გვარგია. ამდენ ქართველობას ერთი სამკითხველო არა გვაქვს, რომ კაცმა გონებრივი საზრდო მოიპოვოს და ამით წარმატების გზას დაადგეს. აქაურს ქართველებს ახსოვთ მხოლოდ ბანქო და ბილიარდი. როცა ესენი მობეზრდებათ, მიდიან ლუდხანებში, ბანქოს თამაშით გამოლაყებულ ტვინს ღვინის შემწეობით უფრო ილაყებენ და თან გაიძახიან დალოცვილები—გაუმარჯოს საქართველოსო! მიუტოვებიათ უყურადღებოდ ცოლ-შვილი და ორი გროშის საშოვრად ვინ იცის სიდან სად წამოსულან. ნუ თუ ნაწვავ ნადაგი ფულის უს რგებლოდ ფლანგვას არა სჯობს თითოეულმა ქართველმა თითო მანათი გადადვას და ერთი სამკითხველო დავაარსოთ? მაგრამ ვინ არის წინ გამძღოლი და მოთავე ამ საქმეში! არავინ; რომ ვინმე ჩამგონებელი და წინ გამძღოლი გვყოლოდა, აქამდე ჩვენ სამკითხველო უთუოდ გვექნებოდა.

ამას წინად დაიწყო ფულის გროვება ბ-ნმა ილარიონ თაყაიშვილმა სამკითხველოს დასაარსებლად და ამ საქმეში ჩვენც თანაგრძნობა აღმოვუჩინეთ. სამწუხაროდ, მას აქეთ ერთი წელიწადი გავიდა და ჯერაც არაფერი გვესმის არც შეგროვილს ფულებზე და არც სამკითხველოზე. ამ საქმის მიძინებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში, რომელიც გაიძახის—ჩვენი ფულებით პირი ჩაიტკბარუნესო. ამ ლაპარაკის ასაცილებლად ვსთხოვ ბ-ნ ილარიონ თაყაიშვილს—კეთილ ინებოს და გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით, რა უყო და ან რამდენია მის მიერ სამკითხველოსთვის მოგროვილი ფული, თორემ, თქვენი მტერია, ხალხი დაფრთხება და თავისს დღეში აღარაფერს იფიქრებს სამკითხველოს დაარსებაზე

ნიკო ბესარ. დოლიძე

თეატრის მატიანე

ს. აკეთი (გურია) ქართული წარმოდგენა. ჩვენმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს 21 ამ თვეს აკაკი წერეთლის «სცენა სასტუმროში».

სამწუხაროდ, თორმეტს აქტიორში მხოლოდ სამიოდე ასრულებდა რიგიანად თავის დანიშნულებას; დანარჩენნი კი სუსტები იყვნენ. მხოლოდ სიმღერა კარგი იყო. საზოგადოდ გურულებს სიმღერა ემარჯვებათ და მიტომ «ჩარიამას» სიმღერაც განსაკუთრებით კარგა შეეთვისებინათ. შემოსავალი, რომელიც დანიშნული იყო სკოლისათვის, მეტად ცოტა იყო.

დამსწრეთაგანი

„ახალი მკითხველის“ საზოგადო კრების გამო.

ახალ პროექტის შემდგენელთა საყურადღებოდ.

„ახალი მკითხველის“ უკანასკნელმა საზოგადო კრებამ სწორედ ჯვარს აცვა და შეაჩვენა ამხანაგობის პროექტის ის მუხლი, რომლის ძალით ამხანაგობის წევრთ უნდა გაგზავნოდათ წლის განმავლობაში ყველა მისი გამოცემანი და არა გამოცემათა განსაზღვრული რაოდენობა. ამასთანავე კრებამ ყოვლად უვარგისად სცნო „ახ. მკ.“-ის მთელი ორგანიზაციაც.

ჩვენი აზრით, ასეთი სასტიკი გამართლება ამხანაგობის მთელი ორგანიზაციისა, საზოგადოდ და აღნიშნული მუხლისა, კერძოდ, პატივცემულ კრებას, ცოტა არ იყოს აჩქარებით მოუვიდა. ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის, ყოვლად უნაკლულოდ ჩავთვალოთ ამხანაგობის ძველი ორგანიზაცია; პირ-იქით, ჩვენი აზრით, მას ბლომად აქვს ნაკლულოვანება; მაგრამ ყველა ეს ნაკლულოვანება ეხება მხოლოდ მის არა არსებითს მხარეს; ხოლო რაც შეეხება მის უმთავრეს საფუძველს, ჩვენ იგი სრულიადაც არ მიგვაჩნია უვარგისად.

„ახ. მკ.“-ის ორგანიზაციის უმთავრესი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ამხანაგობის წევრთ შემოაქვთ განსაზღვრული გადასახადი და სამაგიეროდ ეგზავნებათ ამხანაგობის ყველა გამოცემანი. (როგორც ხედავთ ზემო-აღნიშნულ მუხლის შინაარსი შეადგენს მეორე ნახევარს ამხანაგობის ორგანიზაციის უმთავრეს საფუძვლისას). ჩვენ, რასაკვირველია, წინააღმდეგნი ვართ იმისა, რომ ამხანაგობის წევრთ გაეგზავნათ მათს საწევრო გადასახადზე ნაკლებ ღირებული წიგნები. მაგრამ წევრთა ასეთი ზარალი ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი რამ. ასეთი ზარალი მოსალოდნელია მხოლოდ მაშინ, თუ ამხანაგობის თანხა უსარგებლოდ იფლანგება და უსაჭიროეს საგანს კი არ ხმარდება. „ახ. მკ.“-ის შარშანდელმა მოქმედებამაც მხოლოდ ეს დაგვანახვა და სხვა არაფერი. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, „ახალ მკითხველის“ გამგეობას რომ შარშან უთავბოლოდ არ ეხარჯა ფული მაშინ ამხანაგობის წევრთ უთუოდ გაეგზავნებოდათ თუ მეტი არა, მათი საწევრო ფულის საღირალი წიგნები მაინც (ამის სრული იმედი ჰქონდათ „ახ. მკ.“-ის დამაარსებელთაც, რომლებმაც ამ საგნის შესახებ ყველაფერი დაწვრილებით და გულმოდგინედ გამოიანგარიშეს წინდაწინვე გადასწყვიტეს: ამხანაგობის წევრთ გაეგზავნოთ წლის განმავლობაში უთუოდ არა ნაკლებ სამი მანათის (საწევრო ფილის) ღირებული წიგნებიო, და მათი შეცდომა მხოლოდ ის იყო, რომ ეს გარდაწყვეტილება აღნიშნულ მუხლში არ შეიტანეს. მაგრამ შარშან „ახ. მკ.“-ის გამგეობა ერთი წიგნის გამოცემას სულ მცირე ორ თვეს აგვიანდება და ამ ხნის განმავლობაში მარტო თვის ჯამაგირს ანდომებდა 90 მანეთს (2×45 მ.=90 მ.); ამასთანავე ხარჯავდა ზედ მეტ ფულს კორექტურის გასწორებაში (თითქო კორექტურის გასწორება მას დაამძიმებდა!); ხარჯავდა აგრეთვე ზედმეტ ფულს, წიგნის ქაღალდში, დაბეჭდვაში და მრავალ სხვაში, როგორც ეს სარევიზიო კომისიის მოხსენებამაც გამოარკვია,*) და, აბა მიბრძანეთ, ამდენი უსარგებლო და ზედ მეტი ხარჯის მეოხებით როგორ მოხერხდებოდა, ამხანაგობის წევრთ სამ-სამი მანეთის წიგნები გაგზავნოდათ?!.

ამ სახით, „ახ. მკ.“-ის დამაარსებელთა უმთავრესი შეცდომა მდგომარეობს არა ამხანაგობის ორგანიზაციის უმთავრეს საფუძველში, არამედ იმ გარემოებაში, რომ ამხანაგობის თანხის დახარჯვის საქმე მტკიცე კალაპოტში არ ჩააყენეს და ამით აუცილებელი გახადეს მისი უთავბოლოდ გაფლანგვა: ერთი მხრით, გამგეობას გადამეტებული ჯამაგირები დაუნიშნეს; მეორე მხრით, მას მოვალეობა არ განუსაზღვრეს და ამით შეაძლებინეს მრავალი მოვალეობის (მაგალ. კორექტურის გასწორების) თავიდან აშორება; მესამე მხრით, ამხანაგობის თანხის ხარჯვას სასტიკი კონტროლი არ აუჩინეს, ამხანაგობის კასა მიანბარეს მმართველს, როგორც გინდა, ხარჯეო და არ ჩააბარეს ცალკე ხაზინადარს და სხ.

აქვე საჭიროდ ვრაცხთ, აღვნიშნოთ, თუ რამდენად უახლოვდება იდეალს „ახ. მკ.“-ის ორგანიზაციის უმთავრესი საფუძველი. ერთის მხრით, ამ საფუძვლის წყალობით ამხანაგობას შეუძლია შეადგინოს საკმარისი თანხა, რადგანაც მისთვის მოსახერხებელი ხდება წევრს სულ მცირე ფული გადაახდევინოს და ეს ფულიც სავსებით დაუბრუნოს უკან წიგნებად,—ეს გარემოება ამრავლებს წევრთა რიცხვს და, მაშასადამე, ადიდებს ამხანაგობის თანხასაც. ეს ერთი. მეორე მხრით, როგორც საგანგებო სარევიზიო კომისიის წევრმაც, ბ. გრიაზნოვმა, აღნიშნა, ხსენებულ საფუძვლის მეოხებით შესაძლებელი ჰხდება წიგნების საჩქაროდ და ფართოდ გავრცელება, რადგან ამხანაგობის ყველა გამოცემები უნდა დაურიგდეთ ყველა მის წევრთ. ეს უკანასკნელი ღირსება „ახ. მკ.“-ის ორგანიზაციისა მით უფრო საყურადღებოა, რომ „ახალი მკ.“-ის უმთავრეს მიზანს შეადგენს გამოცემა სამეცნიერო წიგნებისა, რომლებსაც ჩვენში ჯერ-ჯერობით ბლომათ არა ჰყავთ მკითხველები და ამის გამო დიდ-ხნობამდე არ ეღირსებათ ხოლმე გაყიდვა. ურიგო არ იქმნება, რომ ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდნენ „ახ. მკ.“-ის ახალი ორგანიზაციის პროექტის შემდგენელნი.

—ნე —ი

სამეცნიერო ცნობანი

ზანგების ზნე-ჩვეულება. ზანგებს თავისებური ჩვეულებანი აქვთ. ისინი დაუკითხავად შედიან სხვის სახლში, ართმევენ ყველას ხელს და ჩუმად სხდებიან. თუ მას არა მიართვეს რა, ელის, ვიდრე ყველანი სადილს გაათავებენ და მაშინ უცხადებს სახლის პატრონს, რომ მას დიდიხანია პური არ უჭამია და ძრიელა შია. არა ზრუნავს შემდეგისათვის, სჭამს, ვიდრე საჭმელი მოეპოვება, და როცა გამოელევა მშიერიც გასძლებს. ბეტლერი რამდენიმე საყურადღებო ფაქტებს მოგვითხრობს. მათი ცხოვრებიდგან. ერთი გაქრისტიანებული ზანგი, სახელად მუნზერტონი, ძრიელ ღვთის მოყვარე იყო, მაგრამ «მამაო ჩვენოს» წაკითხვის დროს არა ოდეს არ ივიწყებდა არსობითი პურთან ერთად თევზიც ეთხოვნა ღმერთისათვის. სიკვდილის დროს უანდერძა ისე დაემარხნათ, როგორც სხვა ზანგები და არა ქრისტიანების წესზე. ზანგი ძრიელ ეჭვის თვალით უცქერის უცხოელს და პირველ შემთხვევაში მზად არის გაიქცეს თავის უდაბნოში განათლებული ქვეყნიდგან. აი რას მოგვითხრობს შაჲ: ერთმა ზანგის ქალმა ერთს სასწავლებელში კურსის გათავების შემდეგ შეუსრულებით ამერიკელი შეირთო; მაგრამ ამის მიუხედავათ პირველ წელსვე და ასიც შვილის შობის წინ, მიატოვა ქმარი, გაიქცა ტყეში, სადაც მოელოგანა და იქვე მოუკვდარიყო—სწყალი უპატრონოდ. ზანგები ძრიელ მისდევენ ძველს ჩვეულებას, მეტადრე ცეკვას, და ძრიელ სწყინთ, როცა მთავრობა უშლის მათ ცეკვა-თამაშს. ერთხელ სიუს გვარის ზანგებმა პრეზიდენტს გაუგზავნეს ვაშინგტონში მოციქულები და სთხოვეს; ნება მოგვეცით ძველ ჩვეულებაზე ვიცხოვროთ“. მოციქულებში ერია მხედართ მთავარი სახელად «ცბიერი კუდი», რომელიც ძრიელ მოწინააღმდეგე იყო მთავრობისა. მთავრობამ მოციქულები დიდხანს დააკავა ვაშინგტონში და არ უშვებდა, უნდა ძალით იძულებულნი გაეხადნა მთავრობის ნება შეესრულებინათ.. «მაგრამ თავისუფალნი უდაბნოს მცხოვრებნი ძრიელ მოწყენით იყვნენ ქალაქში და თავს აბეზრებდნენ გაგვიშვით სახლშიო. მაგრამ მთავრობა ჯერ არ უშვებდა, თუმცა კი ეპირდებოდა. მაშინ „სახელოვანმა მხედართ მთავარმა» უთხრა მთავრობისაგან გამოგზავნილს წევრს: «ყოველი ვაშინგტონელი ცრუ და დაცემულია! მე აღარაფერს დაგიჯერებთ ყველა ცრუმენტელები ხართ! მე მეტი ცდა აღარ შემიძლიან. თუ გამიშვებთ კარგი და თუ არა დავუძახებ ჩემს ერთგულს ჯარის კაცებს და ნაცარ-ტუტას ავადენინებ და სულ გადავაწვევინებ თქვენს ქვეყანას. თქვენა გგონიათ ძრიელ მეშინიან თქვენი? რასაკვირველია მთავრობა მას არ გაუგონებდა მართლა რომ არ შეშინებოდა მისა, რომელსაც ჰყავდა 4000 მეტი შეიარაღებული მხედარი და ადვილად შეეძლო ნათქვამი შეესრულებინა. ამიტომაც მას შემდეგ ათი დღე არც-კი გასულა, რომ მთავრობამ ხალხი გაუშვა და თხოვნაც შეუსრულა.

სხვა-და-სხვა ამბავი

კაცი-ჭამიები შოტლანდიაში. შოტლანდიის ერთს მიყრუებულს ადგილას, ედინბურგის მახლობლად, იმყოფება ერთი ისტორიულად შესანიშნავი გამოქვაბული. ადვილი-კი არ გეგონოთ ამ გამოქვაბულში შესვლა: ვერც ხმელეთიდან მიუდგებით და ვერც ზღვიდან. მხოლოდ მაშინ არის შესაძლო გამოქვაბულის ნახვა, როდესაც ზღვიდან მოუვლით. მაშინ თქვენს თვალ-წინ წარმოგიდგებათ ვიწრო ხვრელი, საიდანაც შეიძლება გამოქვაბულში შესვლა. ამ გამოქვაბულს «კაცი-ჭამიების გამოქვაბულს» ეძახიან. აი რატომ მიუღია გამოქვაბულს ეს სახელი.

ეს ამბავი, რომელსაც ქვემოდ მოგახსენებთ, მომხდარა მე-XVII საუკუნეში, ინგლისში იაკობ I-ის მეფობის დროს. შოტლანდიის ერთს სოფელში, ედინბურგის ახლო, ცხოვრებდა საწყალი კაცი, გვარად ბანე, რომელსაც ჰყავდა ერთად-ერთი შვილი იაკობი. იაკობი სიპატარითვე გაუზრდელი და ცუღლუტი ყმაწვილი იყო, რომელსაც ბუნებამ ჭკუის და გონების მაგივრად აუარებელი ღონე მიანიჭა და რომელიც თავისს მამას არა საქმეში არა ჰშველოდა; სოფლელები მისის საშინელ ღონისა და ამასთანავე ეშმაკური შეხედულობის გამო დიდ შიშში იყვნენ ჩავარდნილნი. იაკობი ბანე თექვსმეტი წლისა შესრულდა; ერთხელ ჩხუბის დროს ერთი მუშტის დარტყმით კაცი მოჰკლა. ამ შემთხვევამ სოფელში დიდი არეულობა გამოიწვია. მო-

---

*) ამ მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნულია შემდეგი საყურადღებო ფაქტი: „პარტახის“ (სულ 67 გვ.) დაბეჭდვა დამჯდარა 39 მან., მაშინ, როდესაც უნდა დამჯდარიყო 28 მან. 75 კაპ. იმავე სტამბის ნიხრით სრული 80 გვერდიანი წიგნის დაბეჭდვა ღირს 33 მან. და არა 39 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმინებიდან გამოსულმა სოფლელებმა ბანეს ბორკილი გაუყარეს და სასიკვდილოდ დასჯა გადაუწყვიტეს. მაგრამ როდესაც დასჯის დრო მოახლოვდა, ბანე გაიქცა. თუმცა ძალიან სცდილობდნენ მისს შეპყრობას, ბანეს გზა-კვალს მაინც ვერ მიაგნეს. სოფლელები იმითიც კმაყოფილნი დარჩნენ, რომ იაკობი სრულებით გადიკარგა და მისს სახელსაც აღარ ახსენებდნენ.

ბანე გაქცევის შემდეგ დიდი ხანს უგზო-უკვლოდ ტყეში დახეტიალობდა, მაგრამ სიმშილმა რომ კუჭი გაუხმო, ერთ მოშორებულ სოფელში ფერმერთან მოჯამაგირედ დადგა. მაგრამ ჩქარა აქაც მოსძულდა ყოფნა და ფერმერის მოსამსახურე ქალთან ერთად გაიქცა. გაქცევის დღეს იაკობმა თავისს პატრონის სახლს ცეცხლი მოუკიდა. იაკობთან ერთად გაქცეული ქალი, როგორც იაკობი, გაუზრდელი და გარეული ადამიანის ხასიათისა იყო. ორნივ ერთად შოტლანდიის ერთ მიყრუებულს ზღვის პირს მივიდნენ და ერთს მშვენიერს დღეს განგებ ზემო აღნიშნულ გამოქვაბულს მიაგნეს. ამ სახით მათ საცხოვრებელი ადგილი იპოვეს, ახლა საჭმელი-ღა აკლდათ. ეს ადგილი სრულებით მივარდნილი იყო და ფრინველებიც-კი არ ეკარებოდნენ მას. თავდაპირველად ფესვებით და ტყის ნაყოფით იკვებებოდნენ, მაგრამ ბოლოს ერთმა შემთხვევამ მათს ცხოვრებას სხვა გზა უჩვენა. ერთხელ მეტყევემ შეამჩნია, რომ ეს გარეული კაცი მისს ტყეში ნადირობდა, გამოუდგა და დაიჭირა. შეიქმნა სამკვდრო-სასიცოცხლო ჩხუბი და გარეულმა მეტყევე კომბლით მოჰკლა. მკვლელობა რომ არ გაეგოთ, გარეულმა მეტყევეს გვამი გამოქვაბულში შეათრია. და აი სწორედ ამ დროს გარეულის ცოლს ჰკუაში მოუვიდა მეტყევეს გვამის შეჭმა. მათ ისე ეგემრიელათ ადამიანის ხორცი, რომ ჩქარა ზღვის მარილით დაამარილეს და გასახმობათ ბუხრის თავზე ჩამოჰკიდეს.

მას აქეთ ბანე ადამიანზე, როგორც გარეულ ნადირზე, ისე ნადირობდა. ეს ნადირობა რამდენიმე წელიწადი გრძელდებოდა. ბოლოს ზღვაში გადაყრილმა კაცის ხორცის ნაჭრებმა დაამტკიცეს, რომ ამდენი ხალხის დაღუპვა ვინმე კაცის მკვლელებს უნდა მივაწეროთო. მკვლელების შესაპყრობად ისეთს კაცებს ჰგზავნიდნენ, რომელთაც ზღვის ნაპირები კარგად ჰქონდათ შესწავლილი. მაძიებელნი უკან ხელ-ცარიელნი ბრუნდებოდნენ, ან არა-და სამუდამოდ იკარგებოდნენ, როდესაც ბანეს ხელში ვარდებოდნენ. ბანეს ამ დროს შვილები ჰყავდა, რომელნიც თავისს მამას კაცის კვლაში ჰშველოდნენ ხოლმე. იაკობ ბანეს ოჯახის შესაპყრობად ედინბურგის სამოქალაქო მილიციაც წამოაყენეს ფეხზე. ჯარის კაცნი სოფლებთან და მონადირეებთან ერთად მთელ კვირაობით და თვეობით დახეტიალებდნენ ზღვის პირას, ერთხელაც იმ გამოქვაბულთან ეძინათ, მაგრამ კაცი-ჭამიების მხრივ ვერა გააწყვეს-რა. ბანეს ოჯახი გაჩუმებული იყო ხოლმე, მინამ მაძიებელნი იმ ადგილიდან წავიდოდნენ. როდესაც მილიცია ქალაქში დაბრუნდა და ვერა გააწყო-რა, მმართველობამ ბოლოს იფიქრა, რომ მკვლელები, სოფლის გარდა, სხვაგან არსად არ უნდა იყოფებოდნენ, და სოფელშივე უნდა მოვნახოთო. ერთხელ ერთი მოგზაური დაიკარგა და ეჭვი იმაზე აიღეს, რომლის სახლშიაც მოგზაურს უკანასკნელად ეძინა და რადგანაც სახლის პატრონმა თავი ვერა გზით ვერ გაიმართლა, სხვების დასაშინებლად, იგი სიკვდილით დასაჯეს. ბევრნი ფიქრობდნენ, ბოროტ-მოქმედი უკვე თავიდან მოვიშორეთო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ერთმა მეთევზემ ზღვიდგან ბადეთი კაცის ძვლები გამოათრია და იფიქრეს, ეს კაცი თევზების შეჭმული უნდა იყოსო. მაგრამ მმართველობამ მაინც ზომები მიიღო მკვლელების შესაპყრობლად. ბანე და მისი ოჯახობა ცხენოსან კაცს თავისს დღეში თავს არ დაესხმებოდნენ, არამედ მარტო გამვლელ-გამომვლელს, რამდენიც გინდა ყოფილიყვნენ. მოკლულებს გამოქვაბულში ზღვით შეიყვანდნენ ხოლმე და სისხლის კვალი ცხადად უჩვენებდა კაცს, რომ მკვლელები ზღვით მოდიოდნენ და ისევ ზღვით ბრუნდებოდნენ. ამ გვარად 40 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში გამოქვაბულში კაციჭამიები კარგად გამრავლდნენ, რომელთაც სხვა არაფერი არ იცოდნენ, გარდა ადამიანზე ნადირობისა. ბანე ყველა დანარჩენების წინამძღოლად ითვლებოდა. მაგრამ მათ მაგნაირ ნადირულ ცხოვრებას ერთ უცნაურ შემთხვევით მოეღო ბოლო. ერთ მახლობელ სოფელში იარმუკა იყო გამართული და კაცი-ჭამიებმა განიზრახეს იარმუკაში ადამიანზე ნადირობა. საღამოს ხანზე კაციჭამიები გზის ახლო დაიმალნენ და როდესაც ფერმერმა, მისმა ცოლმა და მუშა კაცმა გამოიარეს, კაციჭამიები გამოვარდნენ და თავს დაესხნენ მათ. ფერმერის ცოლი და მუშა მოკლულ იქმნენ; ფერმერი კი, რადგანაც ღონიერი იყო და ამასთანავე შეიარაღებული, სიკვდილს გადურჩა. ამ დროს მომავალმა ცხენოსნებმა ყვირილი და ხმაურობა გაიგონეს, მოცვივდნენ იმ ადგილას და კაცის-ჭამიების გუნდი ხელად გაფანტეს. იმათ რა იცოდნენ, თუ ესენი კაცი ჭამიები იყვნენ, უბრალო ქურდები ეგონათ. მთვარიანი ღამე იყო და კარგადაც ჩანდა, საით მირბოდნენ მკვლელები. ფერმერმა ამასთანავე ნახა, რომ მკვლელები ზღვის ნაპირისკენ ჩაეშვნენ და იქ გაქრნენ. ფერმერმა ეს ამბავი სოფლელებს აცნობა და ეხლა ეჭვი აღარავის ჰქონდა, რომ უთვალავ მკვლელობა რამდენიმე წლის განმავლობაში სულ ამ მკვლელების საქმე იყო. სოფლიდგან ჭრაქები მოიტანეს, რომ უფრო კარგად გაეშინჯათ ზღვის ნაპირი. შინჯვის დროს იპოვეს სისხლით მოთხვრილი ადგილები. ფიქრობდნენ, თუ საით უნდა წასულიყვნენ მკვლელები, რომ არც ერთი ნავი არ მოსჩანსო და ღამე იქ გაატარეს. მეორე დილას სისხლით მოთხვრილ კვალს დაადგნენ და ბოლოს ანთებული ჭრაქებით გამოქვაბულს მიახწიეს. როდესაც გამოქვაბულის ბოლოს მივიდნენ, მათ თვალთ რაღაც უცნაური და გამაკვირვებელი სანახავი წარმოუდგა: კედლებზე და აგრეთვე ჭერზე ადამიანის ხორცის ჩაკიდებული ნაწილები ნახეს სულ უკან, ერთ პატარა გამოქვაბულში კაცი-ჭამიები ნახეს, რომელთაც მაშინვე თოკით ხელები შეუკრეს და წამოიყვანეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ გამოქვაბულში 48 კაცი-ჭამია ცხოვრობდა. როდესაც კაცი-ჭამიები მოჰყავდათ, ხალხი მივარდა მათ თითონვე უნდოდათ მათი მოკვლა, მაგრამ შეჩერებულ იყვნენ. გამოქვაბულში ნაპოვნი ადამიანის ხორცი და ძვლები დამარხულ იქმნა. უთვალავი ოქრო, ვერცხლი, ნაპოვნი. გამოქვაბულში, ედინბურგში წაიღეს და მოკლული მეგობრებს ჩააბარეს. სასამართლოს დადგენილებით ბანეს ოჯახობა სიკვდილით დასაჯეს. ჯერ ყოველი ოთხ-ოთხ ნაწილად დაჰყვეს და მერმე ცეცხლზე დასწვეს. ერთი მკვლელიც არ გადურჩა ამ სასტიკ სასჯელს. ამ საქმემ ინგლისი დიდად გააოცა. თუმცა უწინდელს დროშიაც ყოფილან კაცი-ჭამიები, მაგრამ ასეთი კაცი-ჭამიობა, როგორსაც ბანეს ოჯახობა სჩადიოდა, თავისს დღეში არსად გაგონილა.

პ. მოსულაშვილი

* * *

განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების


როიალები


პიანინო

ფის-გარმოხაები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ხოტები, სიმები და სხვ. და სხ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцовая ул.

(54—5)

XI-й годъ изданія „**СѢВЕРЪ**“ XI-й годъ изданія

Еженедѣльный Иллюстрированный Литературно-Художественный журналъ, выходящій подъ редакціей **А. А. Корифскаго.**

Въ литературномъ отдѣлѣ журнала будутъ печататься произведенія М. Н. Альбова, А. В. Амфитеатрова, С. А. Андреевскаго, К. Д. Бальмонта, К. С. Баранцевича, А. Н. Будищева, И. А. Бунина, П. В. Быкова, Л. Б. Вейцбера, В. Л. Велички, гр. А. А. Голенищева-Кутузова, П. Г. Ганзена, И. А. Гофштеттера, П. И. Добротворскаго, С. Д. Дрожжина, Я. Е. Егорова, А. Ехарина, А. П. Коптяева, А. В. Круглова, Ил. А. Кускова, В. П. Лебедева, гл С. Лихачова, М. А. Лохвицкой, А. А. Луговаго, К. А. и С. В. Максимова, Д. Н. Мамина-Сибиряка, Л. М. Медвѣдева, Н. М. Минскаго, Д. Л. Михаловскаго, В. М. Михеева, проф. Н. А. Орлова, Н. А. Панова, П. Ѳ. Порфирова, И. Н. Потапенки, М. И. Пыляева, гр. Е. А. Саліаса, В. Я. Свѣтлова, К. К. Случевскаго, Н. А. Соловьева-Несмѣлова, Ѳ. К. Сологуба, проф. Н. В. Сорокина, Вл. А. Тихонова, Л. Н. Трефолева. С. С. Трубачева, кн. Е. Э. Ухтомскаго, К. М. Фофанова, Ѳ. В. Чернигова, Ант. П. Чехова, О. Н. Чюминой, И. Л. Щеглова и другихъ писателей.

Въ 1898 г. подписчики журнала „Сѣверъ“ получатъ:

52 №№ иллюстриров. журнала, изъ которыхъ съ **цвѣтными** рисун. 12 №№ извѣстныхъ русскихъ и иностранныхъ художниковъ

52 №№ еженедѣльной газеты **„СѢВЕРЪ“** (въ форматѣ газетнаго листа убористой печати).

12 томовъ **„БИБЛІОТЕКИ СѢВЕРА“**, каждый томъ — объемомъ отъ 160 до 240 страницъ плотнаго шрифта, въ которыхъ будетъ дано *собраніе новѣйшихъ романовъ*

ГЕНРИКА СЕНКЕВИЧА:

1) «БЕЗЪ ДОГМАТА», 2) «СЕМЬЯ ПОЛАНЕЦКИХЪ», 3) „QUO VADIS?“ („Камо грядеши?“), 4) «КРЕСТОНОСЦЫ». Этими романами знаменитый писатель создалъ себѣ во всемірной литературѣ громкое имя.

Въ отдѣльной продажѣ эти романы будутъ стоить около 10 руб.

12 №№ ежемѣсячнаго журнала **„Парижскія моды“** со множествомъ рисунковъ, выходящихъ одновременно съ однимъ изъ лучшихъ **Парижскихъ модныхъ журн**

12 №№ выкроекъ, узоровъ вышиваній, дамскихъ рукодѣл., монограммъ, съ пояснительнымъ текстомъ, на отдѣльныхъ большихъ листахъ.

12 №№ ежемѣсячнаго журнала **„Хозяйство и домоводство“**, въ которомъ даются совѣты и указанія, необходимыя для хозяйства и домашняго обихода. Кромѣ всего этого, годовые подписчики „Сѣвера“ получатъ **безплатно роскошный художественный альбомъ.**

48 иллюстрацій къ полному собранію сочиненій

ИВ. СЕРГ. ТУРГЕНЕВА.

Къ альбому будутъ приложены. 1) портретъ Тургенева, 2) вступительная статья объ И. С. Тургеневѣ и 3) пояснительный текстъ къ иллюстраціямъ. Литературно-художественная цѣнность этой главной на 1898 г. преміи журнала «Сѣверъ», выпустившаго уже свои художественные альбомы къ произведеніямъ Н. В. Гоголя, Н. А. Некрасова и гр. Льва Н. Толстого, находится внѣ всякаго сомнѣнія.

Подписная цѣна со всѣми приложеніями:

6 **РУБ.** на годъ безъ доставки въ С.-Петербургѣ. 7 **Р.** съ дост. и перес. во всѣ гор. Россіи. Заграницу на годъ 11 р.

На 6 мѣсяцевъ въ доставкой а пересылкой 3 р. 50 к.
„ 3 „ „ „ „ „ 1 р. 75 к.
„ 1 „ „ „ „ — „ 60 к.

Подписка адресуется въ Глав. конт. журн. „Сѣверъ“ (Спб., Екатерининская, 4) на имя издателя **Н. Ѳ. Мертца.** Безплатныя библіотеки и читальни, народныя и церковно-приходскія школы и училища, городскіе и сельскіе учителя и учительницы, сельскіе священники, дьяконы и церковно-служители, служащіе въ земскихъ и частныхъ аптекахъ фармацевты и волостныя правленія пользуются исключительнымъ правомъ получать журналъ «Сѣверъ», со всѣми причитающимися приложеніями и преміями, на особо-льготныхъ условіяхъ, а именно: за 5 руб. съ доставкой и пересылкой. Подписка на льготные экземпляры принимается исключительно въ Главной конторѣ журнала „Сѣверъ“ (Спб. Екатерининская 4) и не иначе, какъ на годичный срокъ, безъ права передачи другимъ лицамъ или учрежденіямъ. (10—7)

Ежемѣсячный, научно-иллюстрированный, литературный и практическій „*Журналъ для всѣхъ*“

ПОДЪ НОВОЙ РЕДАКЦІЕЙ и при новомъ составѣ сотрудниковъ.

ОДИНЪ РУБЛЬ ВЪ ГОДЪ.

Выходитъ разъ въ мѣсяцъ въ обьемѣ не менѣе 2 печатныхъ листовъ плотнаго, убористаго шрифта въ 2 столбца.

Въ журналѣ помѣщается: Обзоръ важнѣйшихъ событій изъ русской и иностранной жизни. Повѣсти, разсказы и стихотворенія выдающихся русскихъ и иностранныхъ писателей. Очерки изъ исторіи Церкви и извлеченія изъ твореній Отцовъ Церкви. Историческіе очерки и біографіи современныхъ и историческихъ общественныхъ дѣятелей русскихъ и иностранныхъ. Популярные очерки изъ міра наукъ по различнымъ отраслямъ естествознанія, а также свѣдѣнія о различныхъ научныхъ открытіяхъ и изобрѣтеніяхъ, имѣющихъ значеніе въ народномъ хозяйствѣ и обыденной практикѣ. Статьи, всесторонне знакомящія читателей съ жизнью народовъ, населяющихъ Россію и другія страны. Краткія практическія свѣдѣнія по полеводству, огородничеству, садоводству, скотоводству, птицеводству, пчеловодству, домоводству—примѣнительно къ мелкому землевладѣнію. Статьи по домашней медицинѣ и гигіенѣ, составленіе которыхъ, равно какъ и разборъ популярно-научныхъ книгъ по этимъ отраслямъ знанія, поручены профессорамъ университета и докторамъ медицины Библіографія, гдѣ будетъ помѣщаться обзоръ популярныхъ и народныхъ изданій, выходящихъ въ теченіе года. Переписка съ читателями.

Кромѣ различныхъ рисунковъ къ тексту и портретовъ, въ каждомъ № будутъ помѣщаться снимки съ лучшихъ картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ.

Желая сдѣлать „Журналъ для всѣхъ“ общедоступнымъ, мы назначили на него самую умѣренную цѣну:

ОДИНЪ РУБЛЬ въ годъ съ доставкой и пересылкой.

Подписка принимается въ редакціи „Журнала для всѣхъ“: С.-Петербургъ, Ковенскій пер., д. № 31.

Оставшіеся годовые экземпляры журнала за 1896 и 1897 гг. высылаются одинъ рубль или наложеннымъ платежемъ за 1 р. 25 к. каждый загодъ.

(10—10) Издатель **П. В. Голяховскій.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Марта, 1898 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ. № 28.
რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**